ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N53

ქ.თბილისი

18 თებერვალი, 2020 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| რამინა ბერაძე | ლევან არველაძე |
| ოთარ გრიგოლია | გიორგი ბირბიჩაძე |
| ბექა დავითულიანი | გულია გოცირიძე |
| ლევან დარახველიძე | ლევან დავითაშვილი |
| ფრიდონ ინჯია | გიორგი დოხტურიშვილი |
| ერეკლე კუხიანიძე | გოჩა თევდორაძე |
| ნინო ლაცაბიძე | ანა ლაშხი |
| ქეთევან მამულაშვილი | გიორგი მუსხელიშვილი |
| შალვა ოგბაიძე | თინათინ ნიბლოშვილი |
| ლევან ჟორჟოლიანი | ნინო რუხაძე |
| დათო რურუა | თამარ ტალიაშვილი |
| რევაზ სოხაძე | ვახტანგ შაქარიშვილი |
| დავით უთმელიძე | გიორგი ჩაკვეტაძე |
| თარაშ შურღაია | ვლადიმერ ძნელაძე |
| დავით ჭელიძე | ლევან ჯაფარიძე |
| ალექსანდრე ხუჯაძე | ჯაბა ჯიშკარიანი |
| ილია ჯიშკარიანი | ქეთევან ჯოხაძე |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი ნაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი აბუთიძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას მიმართ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ არავის დაჭერის მომხრე არ არის და ურჩევნია, პოლიტიკურ დღის წესრიგში განიხილებოდეს არა კონკრეტული პოლიტიკოსების დანაშაულებრივი ქმედებები, არამედ ქალაქის და ქვეყნის მომავალი. მისი თქმით, ყველასთვის ნათელია და არავინ დავობს იმაზე, რომ ქალაქის ბიუჯეტიდან უკანონოდაა განკარგული 50 მილიონი ლარი, რომლითაც შესაძლებელი იყო ქალაქისთვის საჭირო არაერთი პროექტის განხორციელება, თუმცა, ოპონენტები საუბრობენ არა ზემოთხსენებული თანხის გაფლანგვაზე, არამედ გიგი უგულავას დაკავების პოლიტიკურ კონტექსტებზე. ამასთანავე, ისინი ხშირად დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებენ მოგონილ კორუფციულ გარიგებებსა და თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში, რისი მორალური უფლებაც არ აქვთ.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ რამდენიმე კვირის წინ, ბრიფინგზე გაკეთდა დეტალური განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რით არის ბიუჯეტის ზრდა გამოწვეული და რა მიმართულებებით იქნება თანხები გადანაწილებული. მისი თქმით, ქალაქში ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა დაგეგმილზე უფრო სწრაფად, თუმცა, რამდენიმე დღის წინ სატელევიზიო ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც ითქვა, რომ თითქოს ეს თანხა არის წინა წლის ნაშთი და განაცხადა - როდესაც კეთდება მსგავსი შინაარსის სიუჟეტი, უმჯობესი იქნება ჟურნალისტებმა ინფორმაცია გადაამოწმონ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რადგან ოპოზიცია ავრცელებს სიცრუეს, რითიც ცდილობს მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას და ტელეეთერის საშუალებით ამა თუ იმ ინფორმაციის გაჟღერებისას, გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟურნალისტებსაც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-14 ნაწილებით, $125^{7}$ მუხლით, 130 ე მუხლის მე 4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135 ე $135^{5}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების

ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირების სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

15. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე
თანამომხსენებელი: დავით ჯაიანი

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

17. „ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსში N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ.: 01001028428) გათავისუფლების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ.: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" №ე-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „შუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ.: 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

25. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

28. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.080) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

29. „ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა N12, საქანელას ქუჩა N23, საქანელას ქუჩის მიმდებარედ, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), N11, სასწრაფო სადგურის მიმდებარედ, ქუჩა საქანელას N20-ის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.04.003.024; N01.15.04.003.042; N01.15.04.003.044; N01.15.04.003.045; N01.15.04.003.005; N01.15.04.003.008; N01.15.04.003.013) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

30. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

31. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

32. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.208, N01.17.12.003.210; N01.17.12.003.209) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

33. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.006.135) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

35. „სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

36. „სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2019 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში (01.07.2019წ - 31.12.2019წ);

მომხსენებელი: რამინა ბერაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ გორგაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ. დამსწრე საზოგადოებას გააცნო გიორგი აბუთიძის სამუშაო გამოცდილება და აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურში წამყვან და მენეჯერულ პოზიციებზე მრავალწლიანი მუშაობიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მისი საქმიანობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ეფექტური და წარმატებული იქნება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები გამოწვეულია ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვით, რაც შეადგენს 219000000 ლარს, თუმცა, ამ ეტაპზე წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტში 217000000 ლარის ასახვა, ხოლო 2200000 ლარი რჩება ისევ გარდამავალ ნაშთში, რადგან კანონმდებლობით გათვალისწინებულია ახალი ააიპ-ს შექმნა, რომელიც იმუშავებს ბავშვის და ოჯახური ძალადობის პრევენციის მიმართულებით. მისი თქმით, გარდამავალი ნაშთის რაოდენობა გამოწვეულია არა დაგეგმილი სამუშაოების შეუსრულებლობით, არამედ, თითქმის ყველა მიმართულებით შემოსავლების გადაჭარბებით, რაც ვერ აისახებოდა 2019 წლის ბიუჯეტში, რადგან გადაჭარბება ძირითადად მოხდა მეოთხე კვარტალში. რაც შეეხება შეუსრულებლობას, ის არის დაახლოებით 2.5-3%-ის ფარგლებში, შესაბამისად, არგუმენტი, რომ ამ თანხის დახარჯვა შესაძლებელი იყო 2019 წელს, მიუღებელია. გაიოზ თალაკვაძემ დეტალურად ისაუბრა თუ რა მიმართულებით და რა რაოდენობის თანხა იქნება გადანაწილებული.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილია ორი მნიშვნელოვანი ცვლილება ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით, კერძოდ: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამას ემატება დაფინანსება, რაც საშუალებას იძლევა, რომ 1 მარტიდან აღარ იქნება მომლოდინეთა რიგი და მომსახურება გაეწევა აბსოლუტურად ყველას; იქნება ახალი პროგრამა გაფანტული სკლეროზით დაავადებული ადამიანებისთვის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების კუთხით, რაც საშუალებას იძლევა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს შეუნარჩუნდეს და გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნამდვილად მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ეხება ბევრ ჩვენ თანამოქალაქეს და საკრებულოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, ფინანსურად გამყარდება.

გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, 2020 წლის ბიუჯეტი, როგორც შინაარსით, ასევე მოცულობით თბილისის ისტორიაში არის უპრეცედენტო. აღნიშნა, რომ სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებისთ გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცია, რომელიც საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ, მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად იქნა შემუშავებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით წახალისდება უფრო მეტი სპორტსმენი და ახალგაზრდა, განხორციელდება არსებული შენობების, სტადიონებისა და დარბაზების რეაბილიტაცია და კიდევ უფრო მეტად მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით განათლებისა და კულტურის მიმართულებით, გაზრდილია დედაქალაქისთვის პრიორიტეტული პროექტების დაფინანსება, რაც ძალიან პოზიტიური და მნიშვნელოვანია; გადაწყდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა, თეატრი „გლობუსი“ და პანტომიმის თეატრი; იზრდება სახელოვნებო, კულტურის და განათლების სფეროებში დასაქმებული 612 ადამიანის სახელფასო განაკვეთი; ასევე, გაზრდილია დაფინანსება პროფესიული კოლეჯების მიმართულებით, რაც ბაზრის კვლევებზე მორგებული გადაწყვეტილებაა. თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციები და მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, დედაქალაქის მერს და კოლეგებს გაწეული მუშაობისთვის.

ვახტანგ შაქარიშვილმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და კომპანია „ct-park“-ს შორის დადებულ გარიგებას „საეჭვო“ უწოდა, რადგან, მისი თქმით, ის არ იყო საჯარო და საკრებულოს წევრებმაც კი ინფორმაცია გაიგეს მედიის საშუალებით. წლების განმავლობაში, მოსახლეობის მხრიდან იყო სამართლიანი მოთხოვნა, მოგვარებულიყო კომპანიის მხრიდან წარმოქმნილი პრობლემები, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტმა, იმ მიზეზით, რომ კომპანია არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, გაწყვიტა დადებული ხელშეკრულება და როგორც საკრებულო, ასევე მოსახლეობა დაარწმუნა, რომ მუნიციპალიტეტი კომპანიას ბიუჯეტიდან თანხას არ გადაუხდიდა. განაცხადა, რომ დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც საკრებულოს წევრები, ასევე საზოგადოება დარჩა მოტყუებული, რადგან მუნიციპალიტეტმა კომპანიას გადაუხადა 12 მილიონი ლარი და დაინტერესდა რაში გადაიხადა მუნიციპალიტეტმა თანხა და რატომ მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება საკრებულოს ჩართულობის და მოსახლეობის ინფორმირების გარეშე.

ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ ყველა თანხმდებოდა იმ საკითხზე, რომ კომპანია „ct-park“-ს უნდა შეეწყვიტა საქმიანობა, რადგან უსამართლოდ წერდა ჯარიმებს, ასევე უსამართლოდ გადაჰყავდა ავტომობილები საჯარიმო ავტოსადგომზე და მათი ბიზნეს-მოდელი შეუსაბამო იყო ქალაქის ინტერესებთან, რადგან ჯარიმის გამოწერით ჰქონდა უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე პარკინგის გადასახადით. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მიღებული იქნა პარკირების მომსახურების სფეროდან კომპანია „ct-park“-ის გაშვების გადაწყვეტილება და ითქვა, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი კომპანიას არ გადაუხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჯარიმას 25 მილიონი ლარის ოდენობით და ასეც მოხდა, ეს თანხა დღესაც არ არის გადახდილი ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ კომპანიასთან მოხდა გარიგება და მუნიციპალიტეტმა მას გადაუხადა 12 მილიონი ლარი, რომელიც არის საერთაშორისო არბიტრაჟის ხარჯი, „ct-park“-ის ოპერირების ხარჯი და მოქალაქეებისთვის უსამართლოდ გამოწერილი ჯარიმები, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში

ამოიღებდნენ მოქალაქეებისგან. მისი თქმით, ეს თანხა არის თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემოსავალი, რომელიც მან მიიღო დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკინგის მომსახურების ოპერირებიდან და თანხა ბიუჯეტიდან არ მოუთხოვია. აქვე აღნიშნა, რომ დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ყველანაირად მომგებიან პირობებშია, თუნდაც რომ გაასხვისოს პარკირების მომსახურება, შემოსავალს მიიღებს დაახლოებით 20-25 მილიონი ლარის ოდენობით და აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტისთვის, ყველა თვალსაზრისით, მომგებიანი გარიგება იქნა დადებული.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ ბევრ რამეში ეთანხმება ბექა დავითულიანს, თუმცა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემოსავალი არის ბიუჯეტის თანხა და შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული თანხა სწორედ რომ ბიუჯეტიდან არის გადახდილი. მისი თქმით, კარგი იქნება დეტალური განმარტებები იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად რაციონალურია ზემოთ ხსენებული ხარჯი და ასევე, მნიშვნელოვანია არ მოვატყუოთ მოსახლეობა და ვუთხრათ პირდაპირ, რომ „რაღაც ვერ გავაკეთეთ სწორედ“. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ერთი წლის წინ მერიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ვაკის პარკში არაფერი აშენდებოდა, თუმცა ირკვევა, რომ ინვესტორს მშენებლობასთან დაკავშირებით წამოუყენებია ახალი წინადადება და განაცხადა: „არ მინდა მოვატყუოთ თბილისელები“.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ კომპანია „ct-park“-თან ხელშეკრულების გაწყვეტა იყო სამართლებრივად დასაბუთებული და ეს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა „ქართული ოცნების“ გუნდის დაპირება, რადგან კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებას სჭირდებოდა შესწავლა, რის შემდეგაც გამოიკვეთა, რომ კომპანია უხეშად არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე ახალი საპარკინგო ადგილების შექმნის ნაწილში. მისი თქმით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლების სიტყვებს, რომ კომპანიას არაფერს გადაუხდიდა, გავიგებთ პირდაპირი მნიშვნელობით, მაშინ, ტექნიკის შეძენისა და აქტივების გამოსყიდვაში გადახდილ თანხასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გაჩნდება ლეგიტიმური კითხვა - „ხომ გადავიხადეთ ფული?“ სწორედ იმიტომ, რომ ამ მიმართულებით არ დარჩეს რაიმე გაუგებარი, უნდა განიმარტოს, რომ სასამართლო პროცესს, განსაკუთრებით საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალში, საქმის წარმოებას აქვს გარკვეული ხარჯი, რომელიც იზრდება იმ დროის პროპორციულად, რა დროითაც გრძელდება სასამართლო დავა და ნებისმიერი საერთაშორისო იურიდიული ფირმის მომსახურება, რომელიც ახორციელებს მსგავს დავებს, ჯდება რამდენიმე მილიონი. აქედან გამომდინარე, ამ გარიგებით, მუნიციპალიტეტმა წამოიღო თბილისის პარკინგისთვის საჭირო აქტივი და დაზოგა დრო, რაც ძალიან სერიოზული რესურსია. მისი თქმით, „ჩვენთვის ეს გარიგება არის ხელსაყრელი იმიტომ, რომ დაიზოგა რესურსი და დაიზოგა ფული, რომელსაც ადრე თუ გვიან ჩვენ აუცილებლად გადავიხდიდით მინიმუმ იმ იურიდიულ მომსახურებაში, რასაც სახელმწიფო იხდის ხოლმე საერთაშორისო არბიტრაჟებში თუ სასამართლოებში“. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა ვაკის პარკში დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით, ქალაქის მერმა გააკეთა განცხადება, რომ სანამ არ იქნება შემუშავებული ვაკის პარკის განვითარების გეგმა, მანამდე იქ ნებისმიერ მშენებლობაზე საუბარი ზედმეტია. შესაბამისად, წინასწარ ამ საკითხზე საუბარი მიზანშეწონილი არ არის.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ „ct-park“, მიუხედავად ინვესტორების მიმართ დიდი პატივისცემისა, ამ ქალაქში არ იყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურებოდა ჩვენი ქალაქის ინტერესებს, მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მისი საქმიანობა „მავნებლობად იყო ქცეული“ და აქედან გამომდინარე, ამ კომპანიის მუშაობის შეჩერება ქალაქში და მომსახურების გადმოტანა მუნიციპალიტეტის სერვისებში, თბილისის მერიის ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 მე-14 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე 135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან ლიკვიდირებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და მის ნაცვლად ჩამოყალიბებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა მთელ რიგ აქტებში, რომლებიც წარმოდგენილია მიმდინარე სხდომაზე. ზემოთხსენებული დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწწინებული სამართალდარვევის გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ ზემდგომ ადმინისტრაციულ სამსახურად სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოთხსენებული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებისას ზემდგომ ადმინისტრაციულ

ორგანოდ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ავტობუსით უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევებში, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს M3 კატეგორიის ავტობუსებით და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის შემთხვევებში, შესაბამისი საზღაურის ანაზღაურების სამსახურად სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით შეღავათიანი მგზავრობის შემთხვევებში, შესაბამისი საზღაურის ანაზღაურების სამსახურად სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესისა და საფასურის დადგენის უფლებამოსილ სამსახურად სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს განსაზღვრას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, მუნიციპალიტეტის მიერ გზის გადაკეტვის შემთხვევაში, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება, განახორციელოს დროებითი ცვლილება $M_2$ კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის მარშრუტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, მუნიციპალიტეტის მიერ გზის გადაკეტვის შემთხვევაში, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება, განახორციელოს დროებითი ცვლილება $M_3$ კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის მარშრუტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ტაქსის

მომსახურების ნებართვის გამცემ ორგანოდ განისაზღვრება სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ელექტრონული საქმისწარმოება და სწორედ აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია აღნიშნული დადგენილების პროექტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით ($M_1$ კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილია შიდა გადანაცვლება და მონიტორინგის სამსახურის ნაცვლად, აღნიშნული ფუნქცია ენიჭება სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების და M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენის პროექტის გაგრძელების მიზნით, წარმოდგენილია ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმება 80 მილიონი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც შეძენილი იქნება 200 ერთეული 12 მეტრიანი და 178 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ამოღება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა 2 პირისთვის, რომლებიც 1990 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 57 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსში N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 153 კვ.მ.

საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 8 წელზეა მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი გადაეცემა საავტომობილო სპორტის ფედერაციას, მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მშენებლობის ვალდებულებით. აღსანიშნავია, რომ კომლექსის ექსპლუატაში მიღება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში და ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მუდმივად უნდა იყოს შენარჩუნებული ზემოთხსენებული ფუნქციური დანიშნულება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება მოსახლეობასთან პრეზენტაციის ჩატარება, თუ რა სიკეთის მომტანი იქნება აღნიშნული პროექტი.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა საავტომობილო ბრენდების კლუბები ემზადებიან პრეზენტაციისთვის, თუ რა დადებითი მხარე ექნება აღნიშნული კომპლექსის მშენებლობას საგზაო უსაფრთხოების, ავარიების შემცირების და სხვა კუთხით.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი თბილისისთვის უპრეცედენტო და მისასალმებელია. მნიშვნელოვანია ასევე, მოსახლეობის ინფორმირება, თუ რა სიკეთის მომტანი იქნება აღნიშნული პროექტის განხორციელება მუნიციპალიტეტისთვის და აქედან გამომდინარე, სასურველია ფედერაციის ჩართულობა მოსახლეობასთან კომუნიკაციის პროცესში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი

მკალავიშვილის (პ/ნ.: 01001028428) გათავისუფლების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონის პირობის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ვადად განსაზღვრული იყო 2 წელი, თუმცა აუქციონში გამარჯვებულმა ვერ შეძლო აღნიშნულის განხორციელება, რისთვისაც დაეკისრა პირგასამტეხლო. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროექტი არის სოციალური და ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეაბილიტაციას, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ.: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" №-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთ-ერთ ლოკაციაზე რეტერატის კონფიგურაციის ცვლილება, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული რეტერატით სარგებლობა შეძლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა. ასევე, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც დაეკისრა იმიტომ, რომ ვერ შეძლო კონკრეტული რეტერატის განთავსება შესაბამის ვადაში.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დედაქალაქში, ტურისტების მატებიდან გამომდინარე, არის პრობლემა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ხშირი გაგრძელება მიზანშეწონილი არ არის და კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტი ამ საკითხს განიხილავს კომპანიასთან.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, იმის მიზეზი, რომ კომპანია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ ახერხებს ამა თუ იმ ლოკაციაზე რეტერატის განთავსებას, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მუნიციპალიტეტის მიზეზით, რაც, თავისთავად, განპირობებულია იმით, რომ თავდაპირველად განსაზღვრული ლოკაციები შეთანხმებული არ იყო ისტორიულ საბჭოსთან, გათვალისწინებული არ იყო ფუნქციური ზონები და ასევე, მოსახლეობის მოთხოვნით, რომ რეტერატი არ იდგეს მათი საცხოვრებელი სახლის ახლოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „შუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ.: 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებულ 2600 კვ.მ. ტერიტორიაზე 2017 წელს გაიცა მშენებლობის ნებართვა, კოეფიციენტით 11.5. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მასშტაბის მშენებლობა მუნიციპალიტეტისთვის მიუღებელია, კომპანიასთან მიაღწია შეთანხმება, რომ კომპანია მუნიციპალიტეტს გადმოსცეს 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და დარჩენილ 1400 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მშენებლობა კოეფიციენტით 6.9, რის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტი კომპანიას გადასცემს დაახლოებით 7700 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ნუცუბიძეზე, სადაც მშენებლობის კოეფიციენტი განსაზღვრული იქნება 5.5-ით.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი საფასურის გადახდა გვიწევს სხვისი არაკეთილსინდისიერი ბიზნესის გაფუჭებულ საქმეში, მაინც მე, როგორც ამ რაიონის მაჟორიტარს, არ მაქვს მორალური უფლება მხარდაჭერა არ გამოვუცხადო ამ საკითხს“ და ითხოვა, რომ მუნიციპალიტეტმა, ამ პირობებშიც კი, გააკეთოს მაქსიმუმი იმისთვის, რომ დასრულდეს ეს მშენებლობები და ადამიანები, რომლებიც წლების გახმავლობაში ელოდებიან ბინებს, გადაეცეთ საცხოვრებელი ფართები.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის შესახებ საკრებულოს უკვე მიღებული აქვს დადებითი გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევა წარმოდგენილი გადაწყვეტილების შესაბამისად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ზემოთხსენებულ დადგენილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, დადგენილებაში მითითებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ნაცვლად ჩაიწერება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცება, რომლის შესაბამისადაც განახორციელებს საქმიანობას ზემოთ აღნიშნული სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები:

1. N12-0319149104-03 თარიღი: 29.05.2019;
2. N12-031931141-03 თარიღი: 07.11.2019;
3. N12-031936476-03 თარიღი: 30.12.2019;
4. N12-031936478-03 თარიღი: 30.12.2019;
5. N12-0320021125-03 თარიღი: 21.01.2020;
6. N12-03200238-03 თარიღი: 23.01.2020;
7. N12-03200239-03 თარიღი: 23.01.2020;
8. N12-0320023162-03 თარიღი: 23.01.2020;

9. N12-0320023163-03 თარიღი: 23.01.2020;

10. N12-0320023166-03 თარიღი: 31.01.2020;

11. N12-0320023172-03 თარიღი: 31.01.2020;

12. N12-0320043105-03 თარიღი: 12.02.2020;

13. N12-0320043106-03 თარიღი: 12.02.2020;

14. N16-03200445-03 თარიღი: 13.02.2020;

15. N12 032004466 03 თარიღი: 13.02.2020;

ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 51 პოზიცია, რომლებიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. ამასთანავე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებება, კერძოდ, დადგენილებაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ნაცვლად, ჩაიწერება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილიდან N12-0319149104-03 თარიღი: 29.05.2019 განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „ზ“ პოზიცია, ხოლო წერილიდან N12-031931141-03 თარიღი: 07.11.2019 განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „ტ“ პოზიცია, რომლებიც გადადებული იყო დამატებითი შესწავლის მიზნით, ხოლო დანარჩენ წერილებში მითითებული პოზიციები განიხილება სრულად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.080) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანება ორ ბლოკად. სამშენებლო განვითარების წარმოდგენილი კონცეფცია, ტერიტორიაზე არსებული გარემოდან გამომდინარე, მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა N12, საქანელას ქუჩა N23, საქანელას ქუჩის მიმდებარედ, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), N11, სასწრაფო სადგურის მიმდებარედ, ქუჩა საქანელას N20-ის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.04.003.024; N01.15.04.003.042; N01.15.04.003.044; N01.15.04.003.045; N01.15.04.003.005; N01.15.04.003.008; N01.15.04.003.013) მრავალფუნქცი ური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება, რომლის კონცეფცია არსებული გარემოდან გამომდინარე, მისაღებია ურბანული თვალსაზრისით. ტერიტორიის განვითარება მოხდება რამდენიმე ფუნქციით, ხოლო გრგ-ს დამტკიცების ეტაპზე, კიდევ უფრო დაზუსტდება ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პოტენციალი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 25

თავი შეიკავა – 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირება განაპირობა საპროექტო არეალისთვის სარეკრეაციო სივრცის მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის დამატებამ, რაც მისაღებია გეგმარებითი კუთხით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი,

ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანება, რომლის ფარგლებშიც მოხდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.208, N01.17.12.003.210; N01.17.12.003.209) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, შენობების განთავსება ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით და მისაღებია ურბანული კუთხით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.006.135) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანება, რომელიც გეგმარებითი თვალსაზრისით, მისაღებია არსებული ურბანული გარემოსთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მაკა ნასრაშვილმა და განმარტა, რომ 2015 წელს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება სახვითი ხელოვნების, ქანდაკების, ძეგლის და ობელისკის თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსების თაობაზე, ხოლო კულტურის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ, კერძოდ, მხატვრული კომპოზიციის დამატებამ, საჭირო გახადა ახალი ტერმინის და განსაზღვრების ასახვა საკრებულოს მიერ მიღებულ აქტში. არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაში იგულისხმება როგორც ქანდაკება, ობელისკი და ძეგლი, ასევე საჯარო ხელოვნების ნიმუში, რომლის განთავსებაც მოხდება ამ ტერმინის მიხედვით. აღნიშნული წესი ასევე, არეგულირებს საზოგადოებრივ სივრცეებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების და მემორიალური დაფების განთავსების საკითხს.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების შემუშავებას წინ უძღოდა თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის და საკრებულოს შესაბამისი კომისიის აქტიური მუშაობა, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები არქიტექტორებთან, შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავების პროცესში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ქეთევან მამულაშვილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან გადადის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შემადგენლობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2019 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში (01.07.2019წ - 31.12.2019წ)“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ანგარიში ცნობის სახით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 17 დადგენილება და 19 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის
2019 წლის (01.07.2019-31.12.2019) მუშაობის ანგარიში

ქ.თბილისი 18 თებერვალი 2020 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2019 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2019 წლის 24 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 18 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 180 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას, გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა, ხელმძღვანელობენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე

პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ). სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შემოწმდა გეგმით გათვალისწინებული 12 (თორმეტი) ორგანიზაცია, სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 9 (ცხრა) ორგანიზაცია, 7 ორგანიზაცია კი განხილვის ეტაპზეა.

სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციები, კერძოდ შემოწმდა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 6 (ექვსი) საქალაქო სამსახური.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მიერ 2016 წლის 1 მაისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 აპრილამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 5 (ხუთი) რაიონული გამგეობა.

7. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

8. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

9. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

10. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

11. დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ის 3 (სამი) ორგანიზაცია.

12. ა(ა)იპ ქ.თბილისის №158-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

13. ა(ა)იპ ქ.თბილისის №72-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

14. ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის 2 (ორი) ორგანიზაცია.

15. სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება.

16. სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

დასკვნის განხილვის პროცესში იმყოფება 7 (შვიდი) ორგანიზაცია.

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
2. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
4. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
5. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
6. დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
7. ა(ა)იპ ქ.თბილისის №72-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

06 02 04 01 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურება

2017 წლის 05 მაისს ტენდერში გამარჯვებულ პირთან ა(ა)იპ ,,სტუდია ეი-დი-სი"-სთან დაბა ურეკში შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული იქნა 524 880 ლარის (სულ 1200 საგზური, შემსყიდველის მიერ შერჩეული 3-დან-20 წლამდე 600 შშმ პირი და 600 შშმ პირის გამყოლები) N06.02.04.01/30/275 ხელშეკრულება.

შესამოწმებელ პერიოდში 2017 წლის 01 სექტემბრიდან გაფორმებული იქნა 3 (სამი) მიღება-ჩაბარების აქტი, რომელთა მიხედვითაც მომსახურება გაეწია 419 (შშმ მოზარდები და მათი გამყოლები) ადამიანს თანხით 183270,6 ლარი.

თავიდანვე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით არ იქნა გათვალისწინებული, რომ ცალცალკე ყოფილიყო გამიჯნული კვების, ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე ბავშვთა კვების მენიუში თავიდანვე არ იქნა დაფიქსირებული ერთ ბავშვზე ულუფების წონები და კვების პროდუქტების რაოდენობა. თუმცა 2017 წლის ბოლოდან საკურორტო მომსახურება გადასულია ვაუჩერულ დაფინანსებაზე.

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი:06 02 09) განხორციელების წესიდან გამომდინარე დოკუმენტაცია, კერძოდ:

„საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, მოსარგებლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებიდან უზრუნველყოს დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა"

„საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი თანხმობის ბარათის (ფორმა N1) საფუძველზე იღებს ვალდებულებას, რომ თუ პირმა არ მიიღო შესაბამისი სამედიცინო მომსახურება/საჭიროება, იგი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს თანხის უკან დაბრუნებას."

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა მოხსენებითი ბარათი თავისი დანართით ცხრილის სახით სადაც ფიქსირდება, რომ შესამოწმებელ პერიოდში 2017 წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურებაზე გადარიცხულ თანხებზე 6 შემთხვევაში მთლიანი თანხით 56 880 ლარი არ არის წარმოდგენილი დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 2018 წლის სამედიცინო მომსახურებაზე გადარიცხულ თანხებიდან არ არის წარმოდგენილი დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 46 შემთხვევაში მთლიანი თანხით 467 883 ლარი.

ხოლო სამსახურის ინფორმაციით 2019 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარებული კომისიებიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გადარიცხული თანხის ათვისების თაობაზე შესრულებული სამუშაოს არ წარმოდგენა განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ არის ვადა.

სამსახურის განმარტებით, აღნიშნულ ყველა ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებულია მიწერილობა ყველა პასუხისმგებელ პირთან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებაზე.

## 06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღები ოჯახის ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.

შემოწმებით გამოვლინდა ისეთი ფაქტები, როდესაც 3-7 ბავშვიან ოჯახებს ერთიანად აქვთ აღებული 4, 5, 6 და 7 თვის აუღებელი დაგროვილი დახმარება თანხით 79 150 ლარი.

ფიქსირდება ფაქტები, როდესაც სოციალურად დაუცველი ოჯახების უფლებამოსილ პირებს არ აქვთ გატანილი შესაბამისი პლასტიკური ბარათები მომსახურე ბანკიდან რამოდენიმე თვის განმავლობაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს. თუმცა აღნიშნული თანხების გაცემა ხდება სსიპ ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ მოწოდებული, დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის" მიხედვით და ამავდროულად ფულადი დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის, ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ.

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

1. გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მომწოდებლის მიერ სახელშეკრულებო საგნის მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ან საერთოდ არ მომხდარა შემსრულებლის დაჯარიმება ან არასწორი გაანგარიშებით მოხდა საურავის დარიცხვა. აქტში წარმოდგენილი შემთხვევების შედეგად, არ მომხდარა სულ 4 772 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს, საურავის ან ჯარიმის ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხვა. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დოკუმენტაცია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ჯარიმის გაანგარიშების დროს გამოვლენილი უზუსტობაზე პასუხისმგებელია ქ.თბილისის მერიის საფინანსო სამსახური.

2. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც არასწორად მოხდა სამივლინებო ხარჯების დათვლა. ამ კუთხითაც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს.

3. 2017 და 2018 წლებში ქ.თბილისის მერიას და შ.პ.ს. „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობას" შორის, გაფორმდა ხელშეკრულებები ტრადიციული რეწვის ხელშეწყობის მიზნით, სავაჭრო ცენტრ „მერანი"-ს შენობაში, საახალწლო გამოფენა გაყიდვის ღონისძიების მოსაწყობად, ფართის იჯარით აღების შესახებ. ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს და საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ხელმძღვანელობის ელექტრონული ფორმით მიმოწერა. შემმოწმებელ ჯგუფს, მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს რეკომენდაცია, რომ მსგავსი ღონისძიებების დაფინანსება მოხდეს, ორგანიზატორი ორგანიზაციის მიერ მერიაში წარდგენილი წერილის, განცხადების ან სხვა რაიმე წერილობითი ფორმით მიმართვის საფუძველზე.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 - 2019 წლებში, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის პროგრამით (კოდი 04.08) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხა თემატიკის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრის, ვორკშოპების და სემინარების ჩატარება, რაზეც გახარჯული იქნა სულ 34 230 ლარი. აღნიშნული სემინარების, ტრენინგების, ვორკშოპების და სამუშაო შეხვედრის ფარგლებში წარმოდგენილია ინფორმაცია ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოების შესახებ, თუმცა გაურკვეველია, როგორ მოხდა აღნიშნული პიროვნებების შერჩევა. გაურკვეველია როგორ მოხდა თემატიკის შერჩევა და რამდენად იქნა მიღწეული, პროექტით დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. შემმოწმებელ ჯგუფს მიზანშეწონილეად მიაჩნია გაიცეს რეკომენდაცია, რომ მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვის დროს მეტად კონკრეტულად იყოს განსაზღვრული ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

1) 2018 წლის 01 მაისს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შპს „ენსისისთან" (ს/კ 206317948) ქალაქ თბილისში, თამარ მეფის სახელობის ხიდზე ასასვლელი პანდუსის რეაბილიტაციის წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 199 978.79 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე (2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით) 2018 წლის 21 სექტემბერსა და 09

ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 148 941,35 ლარი.

მიმწოდებელს დაგვიანებით მიწოდებისთვის ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.6 პუნქტის მიხედვით დაეკისრა პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯამში პირგასამტეხლომ შეადგინა 15 დღე თანხით 476.97 ლარი. მიმწოდებელზე სულ გადახდილია 148 464.37 ლარი.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების სრული ნაწილის დასრულება მოხდა 2018 წლის 19 ივლისს, 19 დღის დაგვიანებით, ნაცვლად 15 დღისა, შესაბამისად მოთხოვნილი და დაკავებული პირგასამტეხლოს თანხა 476.97 ლარის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 604.15 ლარი.

2) ანალოგიურად 2018 წლის 17 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება N02.02/10/558 შპს „ჯეიბისთან" (ს/კ 406147227) ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალა N3-ში (კორპუსი N23) მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინმსწრებ-დამზღვევი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით - 399 498.99 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 20 თებერვალი. სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 2019 წლის 16 აპრილამდე. 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტზე დართული შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის მიხედვით სამუშაოების დასრულების თარიღია 2019 წლის 01 მაისი.

გეგმა-გრაფიკის დაგვიანებით წარმოდგენის გამო ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მიხედვით მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.06%-ის ოდენობით პირგასამტეხლომ შეადგინა 239.70 ლარი. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების ბოლო ნაწილის დასრულება მოხდა 2019 წლის 01 მაისს, 14 დღის დაგვიანებით, შესაბამისად მიმწოდებელს, ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.6 პუნქტის მიხედვით უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო 581.20 ლარის ოდენობით, 239.70 ლარის ნაცვლად.

ასევე, სამსახურზე გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- შესყიდვების დროს მიაქციოს ყურადღება სატენდერო დოკუმენტაციის პირობებისა და შესყიდვების კანონის მოთხოვნების შესრულებას, ასევე ხელი შეუწყოს მეტი კონკურენციის განვითარებას ტენდერის მიმდინარეობისას.
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მოხდეს უფრო ზუსტად, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტრონული ტენდერის მთავარი ფუნქცია - ისეთი შემსრულებლის გამოვლენა, რომელიც სხვა მონაწილეებთან შედარებით უმცირესი ფასით შეასრულებს სამუშაოებს, რითაც დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები.

- ყურადღება მიაქციოს სამუშაოების მიმდინარეობისას შესასრულებელი პოზიციების ჩანაცვლებას იდენტური სამუშაოებით, რათა ჩანაცვლება არ იქნას გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ხარჯვისთვის.
- საპროექტო მომსახურების შეძენისას საბიუჯეტო სახსრები დახარჯულ იქნას მხოლოდ იმ პროექტებზე, რომელთა შესრულებაც იგეგმება უახლოეს წლებში.

### ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

შემოწმების შედეგად გამოვლენილ შენიშვნებზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

მიაქციოს ყურადღება შესყიდვების დროს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესებს და ხელშეკრულების პირობებს.

- პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (მიღება-ჩაბარებები) შედგენა უზრუნველყოს სამეურნეო ოპერაციების მოხდენის მომენტში, ან უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე.
- დასაბუთებული მოთხოვნების საფუძველზე დროულად მიმართონ შესყიდვების საქალაქო სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არ მოახდინონ მიმწოდებლისათვის თანხის სრულად ანაზღაურება.
- არ დაუშვან სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.
- მხარეთა შორის შეთანხმება და ხარჯთაღრიცხვის ცვლილება არ დაუშვან მას შემდეგ რაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები და მოხდება თანხის ანაზღაურება.
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მოხდეს უფრო ზუსტად, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტრონული ტენდერის მთავარი ფუნქცია - ისეთი შემსრულებლის გამოვლენა, რომელიც სხვა მონაწილეებთან შედარებით უმცირესი ფასით შეასრულებს სამუშაოებს, რითაც დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები.
- გაითვალისწინონ შემოწმება-ანალიზის დასკვაში ასახული სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები.

### ა(ა)იპ ქ.თბილისის №158-ე საბავშვო ბაგა-ბაღი

შემოწმების შედეგად აღმოჩენილ შენიშვნებზე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები.

1. ბაგა-ბაღში საკურატორო და საპასუხისმგებლო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტით გადაბარების საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება;

2. სასურველია ხელშეკრულებასთან ერთად დაარქივებული იყოს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების პირობებით და წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულების დროს.

3. ბაგა-ბაღის მიერ ხელშეკრულების გაფორმების დროს განსაზღვრული იყოს პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გონივრული ოდენობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის დროს, თითვეულ გადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულებებში ხშირ შემთხვევაში პირგასამტეხლოს მუხლში გვხვდება ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.01 % ოდენობა, რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, საჯარიმო თანხის სიმცირის გამო, ასევე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს საგარანტიო პირობები, რაც გააუმჯობესებს შესასრულებელი ვალდებულებების ხარისხს.

4. ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი იქნას კვებასთან დაკავშირებით მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის და ვალდებულებების შესრულება. (ხარისხის დამადასტურებელი მოთხოვნები).

### ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"

შემოწმებით დადგინდა:

1. ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრის შემოწმების შედეგად გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს 2017 წლის 19 ივლისამდე მოქმედი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას. ასევე რიგ შემთხვევებში დარღვეულია დღეის მდგომარეობით მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N12 ბრძანება. კერძოდ არის შემთხვევები, როდესაც სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია როგორიცაა მიღება - ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ან საერთოდ არ არის ატვირთული ან ატვირთულია ბრძანებით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა 30 დღეზე ნაკლებით აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას. ყოველი ზემოაღნიშნული ფაქტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N9 და N12 ბრძანებების სხვადახვა მუხლებით განსაზღვული მოთხოვნების დარღვევას. ასევე გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების, ერთიან ელექტრონულ სისტემის CMR ველში ატვირთვა მოხდა შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. ასევე რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებებთან ერთად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის

ატვირთული ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ. შესაბამისად დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N13 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრს და შ.პ.ს. „ჯეონეთს" შორის 2018 წლის 18 იანვარს და 17 აგვისტოს, სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებები გაიზარდა. ორივე შემთხვევაში ხელშეკრუების თანხის ზრდა გამოწვეული იყო შესასყიდი მომსახურეობის მოცულობის გაზრდით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები. შესაბამისად დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

3. 2018 წლის 10 სექტემბერს ა.(ა).ი.პ. „ეროვნულ სკრინინგ-ცენტრს" და შ.პ.ს. „ჯი-ემ-ეს" შორის, (SPA180006795) მამოგრაფის აპარატის შეძენის მიზნით გაფორმებული იქნა N10/09/2018-1 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 510 000 ლარი. სატენდერო პირობების შესაბამისად მომწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და წინასწარი ანგარიშწორების საბანკო გარანტიები, რომელთა მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით აღემატებოდა საქონლის მიწოდების ვადას. მხარეებს შორის გაფორმებული სამი შეთანხმების საფუძველზე საქონლის მიწოდების ვადა ჯამში გაიზარდა 75 კალენდარული დღით. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა უცვლელი დარჩა. შესაბამისად დარღვეულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. შემოწმების შედეგად გამოვლენილია ოთხი შემთხვევა, როდესაც საქონლის მიწოდება მოხდა ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით, ხოლო ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრის მიერ არ მომხდარა შემსრულებლის დაჯარიმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრისთვის გაიცა რეკომენდაცია.

### სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რის გამოც საჭიროა სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს მიერ გატარებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. ჩატარდეს ურბანულ გარემოში ბინადარი ცხოველების რიცხოვნობის დადგენა და შემუშავდეს დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგია და გეგმა სააგენტოს წესდების მე 3 მუხლის მე-3 „ა" პუნქტის შესაბამისად;

2. მოწესრიგდეს სააგენტოში მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და დღის განმავლობაში გასვლის აღრიცხვა;

3. სააგენტოს თანამშრომლებზე პრემიებისა და დანამატების გაცემა მოხდეს შესაბამისი დასაბუთებისა და არგუმენტირების საფუძველზე;

4. გადაიხედოს სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის უკლებლივ ყველა თანამშრომელზე დაფინანსების საკითხი და ბიუჯეტის ხარჯზე დაზღვევა განხორციელდეს მხოლოდ უშუალოდ ცხოველებთან კონტაქტში მყოფ, მომატებული რისკის ქვეშ მყოფ თანამშრომლებზე;

5. მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციები ჩატარდეს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით;

6. შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება მიექცეს შესასყიდი ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების (ზომა, წონა, ესკიზი და ა.შ.) და მომწოდებლის კვალიფიკაციის დაფიქსირებას;

7. აღიკვეთოს სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლისა და საწვავის არადანიშნულებით გამოყენების შემთხვევები;

8. იმ შემთხვევებში, როდესაც ავტომანქანის მიერ ფაქტიურად მოხმარებული საწვავის რაოდენობა მკვეთრად აღემატება საპასპორტო ნორმას, დადგინდეს გამომწვევი მიზეზი და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები;

9. მოწესრიგდეს ერთიანი საქმისწარმოებისა და დოკუმენტების წარმოება-რეგისტრაციის სრულყოფილად წარმოების საკითხი.

## სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რის გამოც საჭიროა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული იქნას თანამდებობრივი ინსტრუქციები;

2. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ფართით სარგებლობისა და კომუნალური გადასახდელების საკითხი დარეგულირდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მკაცრად იქნას დაცული კანონის მოთხოვნები;

4. ყურადღება მიექცეს ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას და ნაკლები დანახარჯების პრინციპით მეტი შედეგების მიღწევის საკითხს.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენილი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობაში.

სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 10 სხდომა და განხილულ იქნა 17 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ ექვსჯერ (25 იანვარს, 1 მარტს, 24 მაისს, 23 ივლისს, 8 ნოემბერსა და 20 დეკემბერს) განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტები, ხოლო 19 აპრილს კომისიის მიერ ასევე განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" წარმოდგენილი პროექტი.

2019 წლის 20 ნოემბერს და 25 დეკემბერს კომისიამ განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (საკრებულოს-NN12-0319319121-03.15.11.2019წ; 12-0319344108-03.10.12.2019წ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

2019 წლის 17 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლებსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურსს შორის, სადაც შეხვედრაზე მოწვეული იყო სამსახურის უფროსი ბადრი გიორგიძე და მისი მოადგილე კახი ქორიძე.

შეხვედრა შეეხებოდა სამსახურების ურთიერთთანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და სამომავლო მუშაობის კოორდინაციას. ასევე სამსახურის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია, კომისიის მიერ გადაგზავნილი დასკვნების შემდგომი რეაგირებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული სარევიზიო შემოწმებებისა, სარევიზიო კომისიამ საანგარიშო პერიოდში რეაგირება მოახდინა სარევიზიო კომისიაში შემოსულ განცხადება-კორესპოდენციაზე.

ამასთან, სარევიზიო კომისიის მიერ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სამართლებრივი კონსულტაციები იქნა გაწეული, კომისიაში მიღებაზე მყოფ ათეულობით მოქალაქეთათვის სხვადასხვა საკითხებზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რიმა ზერაძე